და იყო ბაასი წაბლის ხეებქვეშ…

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

3 მაისი. ოდესა. “ჩერნომორეცის” სტადიონი.

“ჩერნომორეცი”: ჟეკიუ, ჩილიბი, ლეშჩუკი, ლოგვინენკო (სულანკინი), პლოსკინა, სკრიპნიკი, გოლოვინი, უსტიმჩაკი, ტიმოშენკო (გორიაჩევი), სალამაი, იშჩაკი.

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე (კაკილაშვილი), შენგელია, ყიფიანი, ჩელებაძე (ჭილაია).

მსაჯი: ა. მუშკოვეცი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია გ. მაჩაიძე.

“ჩერნომორეცი”?... კი მაგრამ, მართლა არის ასეთი გუნდი?

– ?...

გამოგიტყდებით, ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ ითამაშებს თბილისელებთან “ჩერნომორეცი”, ასეთმა პასუხმა ძალზე გაგვაოცა, თუმცა ოდესელთა ენაკვიმატობის შესახებ ადრეც ბევრი ვიცოდით.

– რას ელეპარაკებით მაგას, ხომ ხედავთ, კაცი ბურთს ვერ არჩევს გემისაგან. …და საერთოდ არმიელთა გულშემატკივრები არც უნდა შემოვუშვათ ამ ბაღში.

ყველაფერი გასაგები გახდა: ტრადიციულად წაბლის ხეებქვეშ გულშემატკივართა მორიგი “რაუნდი” იწყებოდა. ჩვენი უნებური მიზეზით ერთმანეთს შეეჯახა ოდესის ფეხბურთის ორი დაუძინებელი ბანაკი – “ჩერნომორეცისა” და ასკ–ს ერთგული ქომაგები. უნდა ითქვას, რომ წლეულს ორივე გუნდი (არმიელები, როგორც ცნობილია, პირველ ლიგაში თამაშობენ) სუსტად გამოდიოდა. ოდესელ ფეხბურთლებს მაისამდე არც ერთი გამარჯვება არ ჰქონდათ. ვინ აიღებდა პირველ 2 ქულას? “შინაურ ჩემპიონატში”. ასკ–მა იმარჯვა – 2 მაისს შინ ანგარიშით 1:0 სძლია სტავროპოლის “დინამოს”, რითაც მოსვენება დაუკარგა “ჩერნომორეცის” მომხრეებს.

მაგრამ მხიარულ ოდესელებზე სიტყვა ერთობ გაგვიგრძელდა, მით უფრო, რომ იუმორის ხასიათზე არც ახლა ვართ და არც მატჩის წინ ვიყავით. დინამოელთა გუნდი, რომ იტყვიან, ოდესაში “შეიკრა” – თბილისიდან ჩამოსული სწორედ აქ შემოუერთდათ იუგოსლავიიდან ჩამოფრენილი შენგელია და დარასელია, შემდეგ კი ჩივაძე, სულაქველიძე და ჩელებაძე, რომლებიც თამაშის წინა დღეს შვეციიდან ჩამოსულნი, პირდაპირ დუბლიორთა მატჩზე მოვიდნენ ოდესიის “სპარტაკის” სტადიონზე. დაუმატეთ ამას ტრავმირებული გუცაევი და ადვილად წარმოიდგენთ, რარიგ მინორულ განწყობილებაზე უნდა ყოფილიყვნენ თბილისელთა მწვრთნელები “ჩერნომორეცთან” შეხვედრის წინ.

…”დინამოს” გულშემატკივრებმა ტელევიზიით უკვე ნახეს თამაშის მეორე ნახევრის ვიდეოჩანაწერი. ამიტომ არ შევუდგებით მთელი მატჩის პერიპეტიების აღწერას და ტყავის ბურთს მხოლოდ რამდენიმე აუცილებლად აღსანიშნავ მომენტში გავუწევთ თანხლებას.

მთელი თამაში ერთობ მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. ორივე გუნდმა დიდძალი ჯაფა შეალია 90–წუთიან, ასე ვთქვათ, “ამოუსუნთქავ” ბრძოლას. მაგრამ აი, ერთნაირად ეყოთ თუ არა “საფეხბურთო დენთი” მოასპარეზეთ? თუმცა, ამაზე მოგვიანებით.

5 წუთიც არ იყო გასული, მეტოქეებს კი უკვე თითო კუთხური ქჰონდათ მოწოდებული. ვინ დაიპყრობდა მინდვრის შუაგულს, რომელი მოახვევდა თამაშის ტაქტიკას მეტოქეს, ვინ შეცდებოდა კარის სიახლოვეს პირველი?

ჩვენი მცველები, რომლებიც როგორც იქნა დღეს კვლავ თავისი უძლიერესი შემადგენლობით გამოდიან, ყურადღებით დარაჯობდნენ მასპინძელთა იერიშების მთავარ შემტევ ძალას – ტიმოშენკოს, შალამაის და იშჩაკის სამეულს. განსაკუთრებით ბევრი დევნა დასჭირდა ოდესელთა მოხეტიალე თავდამსხმელს ტიმოშენკოს.

რაც შეეხება მეტოქეთა მცველებს, მათ პირველი წუთებიდანვე მჭიდროდ აიყვანეს მეთვალყურეობის ქვეშ დინამოელი ფეხბურთელები, ხოლო მარჯვენა ნახევარმცველი სკრიპნიკი მსაჯის სასტარტო სასტვენისთანავე პირდაპირ “მიეწება” შენგელიას. ჩვენი თავდამსხმელი ოდესელებმა ერთი კვირის წინ იხილეს თავიანთ სტადიონზე სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში. იმ შეხვედრაში რამაზმა როგორც ვიცით, გახსნა ანგარიში, ახლა კვლავ ეძებდა წარმატების გზებს და ჩელებაძესთან ერთად ხშირად ინაცვლებდა ადგილს, ბევრს მოძრაობდა და ნახევარდაცვის ხაზში დაწეულ ყიფიანთან ერთად დაძაბულ მდგომარეობაში ჰყავდა მასპინძელთა დაცვა.

– კიდევ კარგი, რომ გუცაევი არ თამაშობს, თორემ ისე “ჩაახვევდა” თამაშს, რომ ჩვენები ვერც გაუძლებდნენ – არ მალავდნენ ტრიბუნაზე (სტადიონი სანახევროდ თუ იყო სავსე. როგორც მისმა დირექტორმა – ე. ლაზარევმა გვითხრა, წლეულს მხოლოდ სეზონის გახსნისას, “სპარტაკთან” მატჩის დროს იყო სტადიონი სავსე, შემდეგ კი “ჩერნომორეცის” წარუმატებელმა თამაშმა გუნდს ნელნელა დააკარგვინა მაყურებელი), მაგრამ მინდორზე ხომ არც ჩვენი მთავარი ბომბარდირი შევჩენკოა (მას უხეშობისათვის 5 თამაშით მიეცა დისკვალიფიკაცია). ისე რომ, ამ მხრივ შანსები, შეიძლება ითქვას, თანაბარია…

34–ე წუთზე საკმაოდ ობიექტურმა ოდესელმა მაყურებელმა ტაშით დააჯილდოვა გაბელია, რომელმაც თავგანწირულ ნახტომში აიღო ბურთი ტიმოშენკოსა და იშჩაკის სახიფათო გარღვევის შემდეგ. კვლავ შეტევა და ამჯერად მცველებმა იხსნეს ჩვენი კარი ნახევარმცველ პლოსკინას ძლიერი დარტყმისგან. შესვენებამდე წუთით ადრე უკვე თბილისელებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა, როდესაც შენგელიამ საჯარიმოში ოსტატურად ჩამოიტოვა მასპინძელთა ერთერთი მცველი და ძლიერად დაარტყა კარში. მეკარე ჟეკიუმ მოიგერია ბურთი.

მეორე ტაიმში ოდესელებმა კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს. ეს განსაკუთრებით მარცხენა გარემარბ იშჩაკს ეხება, რომელიც ზურგიდან განუწყვეტლივ გაჰყავდათ გადამწყვეტი დარტყმისთვის, გუნდის კაპიტანს ლეშჩუკს, ჩილიბისა და უსტიმჩიკს (ამ უკანსკნელს სწორედ “დინამოსთან” თამაშის წინ მოეხსნა ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია). კვლავ ქებით უნდა მოვიხსენიოთ მეკარე გაბელია. მან ჯერ, მართლაც სასწაულებრივად, ზედ კარის ხაზზე აიღო მარჯვენა მცველ ჩილიბის თავური დარტყმა, შემდეგ კი მოიგერია კარისკენ სწრაფად გაჭრილი იშჩაკის დაბალი ბურთი.

ამ დღეს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, თავისი ოსტატობის მთელი არსენალის დემონსტრირება მოუხდა “ჩერნომორეცის” მეკარეს ჟეკიუსაც და, წარმოიდგინეთ, სწორედ… თანაგუნდელებისგან ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრებიდან – დარასელიასა და შენგელიასაგან.

…თამაშის დრო იწურებოდა. მატჩი თითქოს ფრედ (წლეულს უკვე მეოთხედ ორივე გუნდისთვის) უნდა დამთავრებულიყო, რითაც მასპინძლები, როგორც მათ

გვითხრეს “პროგრამა–მაქსიმუმს” ასრულებდნენ, მაგრამ მოედანზე სულ ორიოდე წუთის წინ გამოსულმა ახალგაზრდა თავდამსხმელმა გორიაჩევმა თავის გუნდს ამ სეზონში პირველი გამარჯვება მოუტანა. მან 79–ე წუთზე შალამაის ზუსტი ჩამოწოდების შემდეგ მაღალ ნახტომში თავით გაგზავნა ბურთი მოპირდაპირე კარში. ამას მოჰყვა 84–ე წუთი, როცა მასპინძელთა საჯარიმოში კაკილაშვილის მიმართ მცველების აშკარა უხეშობა შეუმჩნეველი დარჩა ა. მუშკოვეცს. თბილისის “დინამომ” მიმდინარე გათამაშებაში პირველი დამარცხება განიცადა.

– ჩვენმა ახალგაზრულმა გუნდმა (მასში დიდი ფეხბურთის 8 ახალბედა თამაშობს) გამძლეობით და სისწრაფით დაჯაბნა ტექნიკური, მაგრამ გადაღლილი დინამოელები – ასეთი ერთსულოვანი აზრი გამოითქვა თამაშის შემდეგ დერიბასოვსკაიასა და საბჭოთა არმიის ქუჩების შესაყართან, სობოროს მოედანზე მდებარე ბაღის წაბლის ხეებქვეშ – ადგილობრივ გულშემატკივართა ამ არაოფიციალურ კლუბში.

ო. ნოზაძე (“ლელოს” სპეც. კორ.), ოდესა.
“ლელო”, 6 მაისი, 1980 წ.